ურთიერთშეთანხმების აქტი N1
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2023 წლის 27 თებერვალს გაფორმებულ N21 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ქ. ბათუმი

2023 წლის 10 აპრილი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი მერის ზაზა დიასამიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ონიქს დიჯიტალი“ წარმოდგენილი დირექტორის ლელა ფხალაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-13 მუხლის მე-3 პუნქტით, 2023 წლის 27 თებერვალს გაფორმებული N21 ხელშეკრულების მე-8 მუხლით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი სპეციალისტის ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ საკითხებში - უჩა ქოქოლაძის 05/04/2023 წლის #01-12823095246 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება 2023 წლის 27 თებერვალს გაფორმებულ N21 ხელშეკრულების დანართი N1-ში;
2. შევიდეს ცვლილება 2023 წლის 27 თებერვალს გაფორმებულ N21 ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **2040** (ორი ათას ორმოცი) ლარი დღგ-ს გათვალისწინებით“.
3. 2023 წლის 27 თებერვალს გაფორმებულ N21 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა დანარჩენი მუხლები დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ურთიერთშეთანხმების აქტი წარმოადგენს მხარეებს შორის 2023 წლის 27 თებერვალს გაფორმებულ N21 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, რომელიც დამოწმებულია მხარეების მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით/კვალიფიციური ელექტრონული შტამპით და ინახება მხარეებთან.
5. შეთანხმება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია	შპს „ონიქს დიჯიტალი“
მუნიციპალიტეტის მერი	დირექტორი
ზაზა დიასამიძე	ლელა ფხალაძე
---	---
self governing unit of Khelvachauri municipality Digitally signed by self governing unit of Khelvachauri municipality Date: 2023.04.10 17:50:57 +04'00'	Onyx Digital LLC Digitally signed by Onyx Digital LLC Date: 2023.04.12 11:07:03 +04'00'

ფასების ცხრილი

#	**მომსახურების დასახელება**	**რაოდენობა**	**ერთეულის ფასი (ლარი)**	**საერთო ფასი (ლარი)**
1	აღრიცხვის აპარატი (ანაბეჭდი/ბარათი) დამატებითი სამონტაჟო მასალით **(მოდელი F22ID)**	1	1100	1100
2	ID ბარათი	70	2.50	175
3	პროგრამული უზრუნველყოფა (ქართულენოვანი პროგრამა, კანონმდებლობით გათვალიწინებული რეპორტის ფორმით) ჩაწერა	1	480	480
4	ინსტალაცია	1	100	100
5	კვების ბლოკი	1	35	35
6	ტრანსპორტირება	1	150	150
სულ ჯამი (დღგ-ს ჩათვლით)				**2040**

წერილის ნომერი:**01-12823095246**
თარიღი: **05/04/2023**

ადრესატი:

ზაზა დიასამიძე
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

მოგახსენებთ, რომ 2023 წლის 27 თებერვლის N21 ხელშეკრულებით შპს ,,ონიქს დიჯიტალი"-დან შეძენილი იქნა თანამშრომელთა აღრიცხვის აპარატი. აღნიშნულ აპარატზე თანამშრომლების რეგისტრაციის გავლის მეთოდი არის 2 სახის: თითის ანაბეჭდის და ბარათის საშუალებით.

ვინაიდან თითის ანაბეჭდით რეგისტრაციის გავლის მეთოდი არ შეესაბამება ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებს, საჭიროა დამატებით შეძენილი იქნას ბარათები, სულ 70 ცალი.

გთხოვთ დაავალოთ შესყიდვების სამსახურს შემდგომი რეაგირებისთვის.

ინვოისი თან ერთვის.

უჩა ქოქოლაძე

ადმინისტრაციული სამსახური-მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილება-უფროსი სპეციალისტი ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ საკითხებში